პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 მაისი, კვირა, 1989 წ. № 101 (10 020) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა.

ყრილობის მიმდინარეობის შესახებ ვრცელი მასალები ქვეყნდება ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში.

## ნინო სალუქვაძე — მსოფლიო თასი ახალი რეკორდით

**ბერლინი.** ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშება დაიწყო ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის თბილისელი ნინო სალუქვაძის ბრწყინვალე გამარჯვებით. პისტოლეტით სროლის ძირითად შეჯიბრებაში მან დააგროვა 592 ქულა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, საბოლოოდ კი ნინომ 691 ქულით მსოფლიო თასი მოიპოვა.

პროგრამის სხვა სახეობებში პირველი ადგილები დაიკავეს: ვაჟები. ნებისმიერი პისტოლეტი — უვე პოტეკი (გდრ) — 661 ქულა, პნევმატური პისტოლეტი — ზორინ ბაბი (რუმინეთი) — 686,2 ქულა, მოძრავი სამიზნე — იოჟეფ შიკე (უნგრეთი) — 666,7 ქულა, მცირეკალიბრიანი შაშხანა — ტომ ტამაში (აშშ) — 597 ქულა (მსოფლიო რეკორდი). ქალები. პნევმატური შაშხანა — სილვია შპერბერი (გფრ) — 492,9 ქულა, სტანდარტული შაშხანა — ვალენტინა ჩერკასოვა (სსრ კავშირი) — 593 ქულა.

## სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში

**სსრ კავშირის** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ვ. გრამოვმა საკავშირო სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებს გააცნო ოლიმპიური კომიტეტის მომავალი საანგარიშო საარჩევნო პლენუმისათვის მზადებისა და სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდების ახალი რედაქციის პროექტზე მუშაობის მსვლელობა. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა პლენუმის დაგეგმილი დღის წესრიგისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირების წესის თაობაზე.

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით მ. ვ. გრამოვმა შეხვედრის მონაწილეთა განსახილველად შეიტანა რიგი წინადადებებისა საბჭოთა ოლიმპიური მოძრაობის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის როლს, მისი რეალური იურიდიული და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ამაღლებას. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქვეყანაში ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის მართვაში საკავშირო სპორტული ფედერაციების როლის განმტკიცების აუცილებლობას ოლიმპიური ქარტიის პრინციპებისა და სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდების ახალი რედაქციის პროექტის დებულებების შესაბამისად, ისინი უნდა წარმოადგენდნენ ოლიმპიური კომიტეტის საფუძველს, სპორტის ოლიმპიურ სახეობებში ფედერაციების წარმომადგენლები კი მის ხელმძღვანელობაში უნდა ფლობდნენ ხმათა უმრავლესობას. მოიწონეს სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის რეკომენდაცია შეიქმნას დამოუკიდებელი საკავშირო სპორტული ფედერაციები სპორტის ზაფხულისა და ზამთრის სახეობებში და მიეცეთ მათ უფლება მიავლინონ წარმომადგენლები ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის შემადგენლობაში.

მხარდაჭერა ჰპოვა წინადადებამ, რომ, როგორც წესი, ფედერაციების საბჭოების მეშვეობით, ოლიმპიურ კომიტეტში წამოყენებულ იქნენ გამოჩენილი სპორტსმენები და მწვრთნელები... შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს თავად ფედერაციების უფლებების გაფართოებას, კერძოდ, ქვეყნის ჩემპიონატებისა და სსრ კავშირში სხვა ოფიციალური შეჯიბრებების ორგანიზაციის საკითხებში. განხილვის საგნად იქცა აგრეთვე აუცილებელი ღონისძიებები ფედერაციების ეკონომიკური, სამეურნეო საქმიანობის განვითარებაში, მათი ყოველდღიური მოღვაწეობის ორგანიზაციაში. შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ფედერაციებმა მნიშვნელოვანწილად უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა ქვეყანაში სპორტის შესაბამისი სახეობის განვითარებაზე, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატებისა და აგრეთვე სხვა ოფიციალური შეჯიბრებებისთვის ნაკრები გუნდებისა და მწვრთნელთა კოლექტივების ფორმირებაზე.

## ფინალზე იაპონელებს მოელიან

**ქართულ** ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების წარმომადგენელთა ნახევარფინალურმა შეხვედრებმა გუშინ გამოავლინა ორი უძლიერესი გუნდი, რომლებიც მთავარ პრიზზე შეეცილებიან ერთმანეთს... ესაა საგარეჯოს რაიონის სოფელი პატარძეული, რომელმაც გუშინ 5:4 სძლია ქ. გორის ნაკრებს და გორის რაიონის სოფელი ქორდა, რომელმაც ასევე 5:4 აჯობა კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის გუნდს.

ფინალურ ასპარეზობაზე, რომლის ჩატარება ნავარაუდევია 2 ივნისს, იაპონელ სპეციალისტებს მოელიან, სტუმრებს სასწავლო ფილმის გადაღება აქვთ განზრახული.

თსეა დე ვიტი:

## „ქალებო, ითამაშეთ წყალბურთი!“

თბილისში მეთერთმეტად ტარდება წყალბურთელთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე, მაგრამ ამ შეჯიბრების კომისრად ქალი დღემდე არ ყოფილა. მეტიც, ჩვენ ჯერ არასდროს გვიხილავს შეჯიბრებაზე ქალი-მსაჯი და საერთოდ, წყალბურთელ ქალს კიდევ არა ვართ კარგად შეჩვეული.

მაშ ასე, პირველი კითხვა მადამ თსეა დე ვიტის.



● **ქალი და წყალბურთი?..**

— ეს განუყოფელი ცნებებია! გარწმუნებთ, ქალები წყალბურთისთვის არიან შექმნილნი! ჩვენ, რა თქმა უნდა, ფიზიკურად ისე ძლიერები არა ვართ, როგორც მამაკაცები, შეიძლება ნაკლებ ტექნიკურებიცა ვართ, მაგრამ... სამაგიეროდ ლამაზები ვართ. ჰკითხეთ ნებისმიერ პროფესიონალ მაყურებელს, ვისი თამაში უფრო მიმზიდველია გარეგნულად — კაცისა თუ ქალისა. შემიძლია სანაძლეო დაგიდოთ, რომ უმრავლესობა სწორედ ქალებს დაუჭერს მხარს. როგორც ხმელეთზე, ისე წყალში ჩვენ ვმოქმედებთ უფრო ჭკუით, უფრო გონივრულად, პრაქტიკულად, ტაქტით, ვიდრე კაცები (მართალია, ეს ჩემი პირადი შეხედულებაა). ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ქალთა წყალბურთი მსოფლიოს ყველა ქვეყანას დაიპყრობს და ოლიმპიურ სარბიელზეც დამკვიდრდება. მე, როგორც ფინა-ს ტექნიკური კომიტეტის წევრი ერთადერთი ქალი, ამისთვის ყოველ ღონეს ვიხმარ.

● **გვიამბეთ, თუ შეიძლება, ცოტა უფრო დაწვრილებით თქვენს საქმიანობაზე.**

— ჩემი მიზანია ქალთა წყალბურთის საერთაშორისო პოპულარიზაცია. ამისთვის ხშირად ვმოგზაურობ სხვადასხვა ქვეყნებში, ვეწევი პროპაგანდას, ვიყენებ ამ მიზნით მთელ ჩემს „ძალაუფლებას“. ახლა ქალები წყალბურთს მსოფლიოს 34 ქვეყანაში თამაშობენ, მათ შორის ისეთ, ჩვენი გაგებით „ტრადიციულ“ ქვეყნებში, როგორიცაა თურქეთი, ინდოეთი და ეგვიპტე. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მე დიდი შრომა დამჭირდა იტალიაში წყალბურთელ ქალთა გუნდის შესაქმნელად. კაცები წინააღმდეგი იყვნენ! მაგრამ ახლა ამ ქვეყანაში 52 საკლუბო გუნდია. მე მიღწეულზე შეჩერებას არ ვაპირებ. დავმშვიდდები მხოლოდ მაშინ, როცა ქალთა წყალბურთს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანენ.

● **როგორ ფიქრობთ, როდის მოხდება ეს?**

— იმედი მაქვს, ეს მოხდება უკვე 1996 წელს ათენში. ბარსელონაში კი 1992 წელს მოეწყობა საჩვენებელი გამოსვლები. შემდეგ კი, იმედი მაქვს...

● **თქვენ ისე დაჯერებული ლაპარაკობთ, უკვე მეც იმედი ჩამესახა. შეგვიძლია ჩვენც როგორმე დაგეხმაროთ?**

— რა თქმა უნდა. გაუწიეთ პროპაგანდა ქალთა წყალბურთს! მე თბილისში პირველად ვარ. ქართველი ქალები ადრე არ მინახავს, თქვენ ძალიან ლამაზები ხართ, მაღლები, ძლიერები, მშვენივრად ითამაშებთ და თამაშობთ კიდეც!

● **ეს შეკითხვა წყალბურთს არ ეხება. თუ შეიძლება, გვითხარით ორიოდე სიტყვა თქვენზე.**

— ჰოლანდიაში, ჩემს სამშობლოში, მე მოდური ტანსაცმლის მაღაზია მაქვს და თვითონ ვქმნი მოდელებს. ჩემი ფირმა ძალზე ცნობილია — „დე რობენი“. შვილები — ორივე ქალიშვილი მემოდელე იყო ჩემს მაღაზიაში. ორივე სპორტს მისდევდა — ერთი კალათბურთს, მეორე წყალბურთს, ახლა ორივე სტიუარდესაა.

● **გაგვიმხილეთ საიდუმლო მხოლოდ ჩვენი გაზეთის მკითხველი ქალებისთვის — რა იქნება მოდაში ამ ზაფხულს?**

— გარწმუნებთ, არაფერი არაა უფრო ლამაზი სანახავი, ვიდრე ნებისმიერი ფერის საბანაო კოსტუმში გამოწყობილი ლამაზი, ტანადი, სპორტული ქალი!

ესაუბრა პეპი ბოჭორიშვილი.



ის. მე-4 გვ.

## ჩემპიონატის პირველ ეტაპზე

**ფრუნზე.** სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაციის გადაწყვეტილებით წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი (თავისუფალი სტილი) ორ საფეხურად ჩატარდება. ამ დღეებში აქ მოეწყო ე. წ. მცირე ჩემპიონატი — შესარჩევი ტური, რომელმაც დაასახელა მეორე ეტაპის ექვს-ექვსი მონაწილე ყოველ წონით კატეგორიაში (ფინალური ასპარეზობა, როგორც ცნობილია, დაიწყება მახაჩყალაში 15 ივნისს).

ფრუნზეში პირველი ადგილები დაიკავეს: ანდრეი მატიუნოვმა (ულან-უდე), ასლან აგაევმა (ბაქო), ალისულთან ალისულთანოვმა (მახაჩყალა), არტურ მაინგაშევმა (კრასნოიარსკი), მაჰომედ ჯამალოვმა (მოსკოვი), ეისა-გაჯი გაჯიევმა (მახაჩყალა), რასულ კატინაგასოვმა (მოსკოვის ოლქი), ალან აბაევმა (მოსკოვი), ანდრეი გოლოვკომ (ჩერქესკი), ლევან ებანოიძემ (თბილისი).

### ინფორმაცია

**რომი.** პროფესიონალთა მრავალდღიანი ველორბოლის („ჯირო დ' იტალია“) მეოთხე ეტაპზე წარმატება მოიპოვა როლფ იაერმანმა (შვეიცარია). 204 კილომეტრი 5:59.40-ში დაფარა.

პირად ჩათვლაში ლიდერობას ჯერჯერობით იტალიელი სილვიო კონტინი ინარჩუნებს.

### რეპლიკა

## ვინ უგულებელყოფს ქართულ ენას?

ეს რეპლიკა ერთგვარი გაგრძელებაა ჩვენი იმ კრიტიკული პუბლიკაციისა, რომელიც წლეულს, 15 მარტის ნომერში გამოვაქვეყნეთ სათაურით „რატომ ვივიწყებთ მშობლიურ ენას?“

შეგახსენებთ: ის რეპლიკა ეხებოდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩებზე მსაჯ-ინფორმატორის მუშაობას, რომელიც ვაკის საცურაო აუზში თავმოყრილ გულშემატკივარს ინფორმაციას მხოლოდ რუსულ ენაზე აწვდიდა. მაშინ რეპლიკის გამოქვეყნებასთან ერთად პირადი დავა და კამათიც დაგვჭირდა, რათა ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დაგვემტკიცებინა — საქართველოში გამართული შეჯიბრება, როგორი რანგისაც არ უნდა იყოს, ქართულ ენაზე უნდა წარიმართოს, ან ქართულად და რუსულად. როგორც იქნა, კანონიერი მოთხოვნა ყურად იღეს მაგრამ... სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა.

ახლა თბილისში მიმდინარეობს წყალბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. სამწუხაროდ, აქ კვლავ უგულებელყვეს ქართული ენა.

რა გახდა ეს წყალბურთი, ნუთუ საქართველოში არ მოიძებნება ქართულის მცოდნე მსაჯი-ინფორმატორი? თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტაბლოც რუსულად გვაწვდის ინფორმაციებს, მაშინ ნათელი გახდება აქ მოსული გულშემატკივრებისა და ჩვენი გულისწყრომა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, რომლის პრიზზეც ეს ტურნირი ტარდება, დროულად იღონა და ქართულ ან ორ ენაზე დაამზადა აფიშები, მოსაწვევი ბარათები, ვიმპელები, სამკერდე ნიშნები და სხვა ატრიბუტიკა. სამწუხაროდ, შეჯიბრების პროგრამა მოსკოვში გამოიცა და თბილისში ჩამოიტანეს.

აღმაშფოთებელია, რომ ვაკეში, კუს ტბისაკენ მიმავალი საბაგირო გზის ქვედა ბაქანთან ამ შეჯიბრების სარეკლამო სტენდზეც ქართულად სიტყვას ვერ წაიკითხავთ.

კიდევ ერთხელ გვინდა ვიკითხოთ: რატომ ვივიწყებთ მშობლიურ ენას, ვინ გვაიძულებს?

# მძიმე და საპატიო გამოცდა

საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

საგზატკეცილო ველოსპორტი და მისი ერთ-ერთი ურთულესი სახეობა მრავალდღიანი ველორბოლა ჩვენს სპორტულ მეურნეობაში ტრადიციულად ჩამორჩენილი და უპერსპექტივო სახეობა გახლავთ. უფრო სწორად, ასეთი მდგომარეობა იყო შარშან ზაფხულამდე, მანამ, სანამ ჭაბუკთა საკავშირო სპორტული თამაშები ჩატარდებოდა. 1988 წლის 4 ივნისს მოხდა დაუჯერებელი, ყოველ შემთხვევაში ველოსპორტის ბევრი სპეციალისტისთვის მოულოდნელი რამ. საქართველოს ნაკრებმა ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მრავალდღიანი ველორბოლა მოიგო, თანაც პირად ჩათვლაში ოქროსა და ვერცხლის მედლებს ჩვენი გუნდის ლიდერები ვასილ დავიდენკო და გარი კეხბა დაეპატრონენ.

მაშინ ბევრი ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკის ნაკრებს წარმატებაში ხელი შეუწყო საკუთარმა კედლებმა (შეჯიბრება საქართველოს გზებზე ჩატარდა), გულშემატკივრების მხარდაჭერამ და საერთო კეთილგანწყობამ. გარეშე პირობებს, რა დასამალია, ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ რესპუბლიკის ველოსიპედისტთა ამ გამარჯვების ცალმხრივი ახსნა არ იყო სწორი, რაც, სხვათა შორის, მომდევნო პერიოდის შეჯიბრებებმა დაამტკიცა.

მაგრამ მთავარი გამოცდა ჩვენს, უდავოდ აღმავლობის გზაზე მყოფ საგზატკეცილო ველოსპორტს წლეულს ჰქონდა, ახალგაზრდობის IV საკავშირო სპორტული თამაშების დღეებში, რომელიც ამას წინათ ალუშტაში (ყირიმის ოლქი) ჩატარდა. აქ ერთი რამ არის ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელი. შარშან ჭაბუკთა თამაშებში მოასპარეზე ველოსიპედისტებს დებულების თანახმად წლევანდელ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მიეცათ და ამის გამო გუნდის ძირითადი ბირთვი (ვასილი დავიდენკო, გარი კეხბა, ვიქტორ ოვანესიანი, მამუკა შუბითიძე) ფაქტობრივად უცვლელი დარჩა. ძველ შემადგენლობას დაემატა მხოლოდ ხვიჩა ბარბაქაძე და კახაბერ ოდიკაძე.

სანამ წლევანდელი შეჯიბრების დეტალებზე ვისაუბრებთ რამდენიმე სტატისტიკური ცნობა უნდა მოგაწოდოთ და რბოლის საბოლოო შედეგებიც გაგაცნოთ. ჯერ უფრო დაწვრილებით პირად გამოსვლებზე:

ვასილ დავიდენკო, 1970 წელსაა დაბადებული. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისი, IV ადგილი (უგეგმავდნენ V-VIII ადგილს).

გარი კეხბა, 1970 წელსაა დაბადებული. სპორტის ოსტატი, რუსთავი, X ადგილი (პროგნოზით XX ადგილი).

ხვიჩა ბარბაქაძე, 1968 წელსაა დაბადებული. სპორტის ოსტატი, ლაგოდეხი, 32-ე ადგილი.

ვიქტორ ოვანესიანი, 1971 წელსაა დაბადებული. სპორტის ოსტატი, თბილისი, 59-ე ადგილი.

მამუკა შუბითიძე, 1971 წელსაა დაბადებული. სპორტის ოსტატი, თბილისი, 70-ე ადგილი.

კახაბერ ოდიკაძე, 1971 წელსაა დაბადებული. სპორტის ოსტატობის კანდიდატი, თერჯოლა, 72-ე ადგილი.

ამ მაჩვენებლების საფუძველზე შეჯამდა გუნდური შედეგი, რომელმაც რესპუბლიკის ნაკრები 20 კოლექტივს შორის IV ადგილზე გაიყვანა (გეგმით გათვალისწინებული იყო VIII ადგილი). აი, როგორ განაწილდა ადგილები კოლექტივებს შორის:

| | |
|---|---|
| რუსეთის ფედერაცია — | 171 ქულა |
| უკრაინა | 102 |
| ლიტვა | 88 |
| საქართველო | 77 |
| ლატვია | 58 |
| ყირიმის ოლქი | 44 |
| ლენინგრადი | 32 |
| უზბეკეთი | 31 |
| ყირგიზეთი | 17 |
| ესტონეთი | 14 |
| მოლდავეთი | 3 |
| ტაჯიკეთი | 1 |

შენიშვნა: დანარჩენმა გუნდებმა ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს.



როგორც ამ ცხრილიდან ჩანს მრავალდღიან რბოლას ოთხი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა — რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ლიტვა და საქართველო. მესამე ადგილზე გასულ ლიტვის კოლექტივს ჩვენი ველოსიპედისტები სულ რაღაც 6 ქულით ჩამორჩნენ, იმ დროს, როცა V ადგილზე მყოფ ლატვიას მთელი 24 ქულით გაუსწრეს. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ბალტიისპირეთისა და შუა აზიის გუნდებთან პაექრობა, რომ არაფერი ვთქვათ ლენინგრადის ნაკრებზე, ჩვენს ველოსიპედისტებს უბრალოდ არ შეეძლოთ.

კიდევ რამდენიმე საგულისხმო დეტალი: ვასილ დავიდენკომ მოიგო ერთი (მეოთხე) ეტაპი და ორჯერ მესამე იყო. გარი კეხბამ გაიმარჯვა დასკვნით ეტაპზე, შეჯიბრების ერთ-ერთ ურთულეს მონაკვეთზე.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ რას ნიშნავს ჩვენი ველოსიპედისტების მიერ მოპოვებული გუნდური IV ადგილი, შევახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაცია და უკრაინა შეჯიბრებაში 3-3 ნაკრებით იყო წარმოდგენილი, ესე იგი, საქართველოს სპორტსმენებს სამჯერ უფრო ჭარბ ძალებთან უხდებოდათ ბრძოლა.

მრავალდღიან ველორბოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორ ტაქტიკურ ბრძოლას. ტაქტიკური მანევრირების საშუალება კი ჩვენს ძირითად მეტოქეებს გაცილებით მეტი ჰქონდათ, ამიტომაც როგორც კი გამოიკვეთა ლიდერთა პოზიცია, ჩვენს გუნდში, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ველოსიპედისტებმა ისინი განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ აიყვანეს. ჭარბი ძალებით კი ყოველთვის ზუსტად შეიძლება გათვალო ტაქტიკური ბრძოლა. ჩვენს ველოსიპედისტებთან მომქანცველ პაექრობას მთელს ტრასაზე აღნიშნული გუნდების წარმომადგენლთა ერთი ჯგუფი აწარმოებდა, ფინიშს კი შედარებით დასვენებული ძალები იგებდნენ. ამ მხრივ საქართველოს გუნდის ლიდერზე ვასილი დავიდენკოზე ნამდვილი „ნადირობა" იყო გამოცხადებული. არადა, იგი იმდენად კარგად გახლდათ მომზადებული, რომ ლიდერთა მცირერიცხოვან ჯგუფში ეტაპის მოგება ფაქტიურად არ უჭირდა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს ველოსიპედისტთა მისამართით ბევრი ქების სიტყვა გამოითქვა. სპეციალისტებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა იმან, რომ ჩვენი ნაკრები შეჯიბრების მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდული კოლექტივი და, მაშასადამე პერსპექტიული გუნდი იყო. სწორედ ამის გამო მისი გამოსვლა ახალგაზრდულ IV საკავშირო სპორტულ თამაშებში მნიშვნელოვან წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება **თუ გავიხსენებთ III საკავშირო თამაშების შედეგებს.** მაშინ საქართველოს ველოსიპედისტთა გამოსვლა იმდენად წარუმატებელი იყო, რომ **გუნდი საერთოდ შეფასების გარეშე დარჩა.** საუკეთესო მაჩვენებელი პირად ჩათვლაში კი 59-ე ადგილს შეეფარდებოდა (აღარაფერს ვამბობთ სხვა მონაწილეთა შედეგებზე — 72-ე, 81-ე, 83-ე, 94-ე, 99-ე და 101-ე ადგილები).

ახალგაზრდობის საკავშირო თამაშების კომპლექსურ პროგრამაში ვაჟთა მრავალდღიანი ველორბოლა პირველი სახეობა იყო. ასე რომ, თამამად შეიძლება ვთქვათ — ჩვენმა დელეგაციამ სტარტი წარმატებით აიღო. გუშინ იმავე ალუშტაში შეჯიბრება დაიწყეს გოგონებმა. რესპუბლიკის ნაკრების ხელმძღვანელობა ჩვენი გუნდის ლიდერზე — სტელა პრიახინაზე გარკვეულ იმედებს ამყარებს.

# „ხარ მოვლენილი, ვით მოციქული..."

შენ ხარ სპორტი და ხარ სიხარული! ხარ სიცოცხლის დიდი ლამპარი, მოულოდნელად ანთებული ხრიოკ მინდორში, სადაც ბრძოლაა გამართული არსებობისთვის. ხარ მოვლენილი, ვით მოციქული გარდასულ დროთა, როცა ღიმილით იყო ფენილი კაცობრიობა. შენ მოხვედი და მთათა მწვერვალებს გადაეფარა ავრორას კალთა და სინათლის თეთრი ჩიტები შეფრთხიალდნენ დაბურულ ტყეში.

პიერ დე კუბერტენი,
„ოდა სპორტს" (თავი I)

ამ დღეებში რედაქციაში უამრავი წერილი და შეკითხვა შემოდის, რომელიც დაკავშირებულია ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებთან, თამაშებში მონაწილეობის წესებთან და მოთხოვნებთან, გვეკითხებიან რას წარმოადგენს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და როგორ იქმნება იგი, რა უფლებებითაა აღჭურვილი ეს კომიტეტი და ა. შ.

პირდაპირ ვიტყვით: ბევრ საკითხზე პასუხის გაცემა გვიძნელდება, რადგან ძნელად მოიპოვება სათანადო ლიტერატურა. ყველაფრის თავი და თავი მაინც ოლიმპიური ქარტია გახლავთ, რომლის სრულ ტექსტს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიეთ, ცნობარებსა და ენციკლოპედიებში მხოლოდ მისი განმარტება ან მოკლე შინაარსია გადმოცემული (აქვე ვთხოვთ მკითხველებს, თუ ვინმეს მიუწვდება ხელი ოლიმპიური ქარტიის სრულ ტექსტზე, შეგვეხმიანოს).

ახლა კი შევეცდებით პასუხი გავცეთ რამდენიმე შეკითხვაზე, რომელიც მკითხველთა წერილების მიხედვით დავაჯგუფეთ.

● **რას წარმოადგენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და როდის შეიქმნა იგი?**

— საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (შემოკლებით სოკ-ი) არის თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის უზენაესი ხელმძღვანელი ორგანო. სოკ-ი შეიქმნა 1894 წლის 23 ივნისს პარიზში მოწვეულ საერთაშორისო კონგრესზე, მოთავე იყო ფრანგი საზოგადოებრივი მოღვაწე პიერ დე კუბერტენი. სოკ-ს დაევალა ოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია. სოკ-ის შემადგენლობაში იქვე აირჩიეს არგენტინის, ახალი ზელანდიის, აშშ-ის, ბელგიის, ბოჰემიის (ჩეხეთის სახელმწიფოს ძველი ტერიტორია. რედ.) დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის და შვეციის წარმომადგენლები. შემდეგ ეს წარმომადგენლები გახდნენ თავიანთ ქვეყნებში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების (შემოკლებით ეოკ-ი) შექმნის თაოსნები.

● **რა არის სოკ-ის ამოცანა და მოვალეობა?**

სოკ-ის ამოცანები განსაზღვრულია ოლიმპიური ქარტიით. მოვალეობაში კი შედის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების რეგულარულად ჩატარება, მისი გამუდმებული სრულყოფა, მთელს მსოფლიოში სამოყვარულო სპორტის განვითარების ხელმძღვანელობა. სოკ-ი განსაზღვრავს ოლიმპიადების პროგრამას, იგი წარმოადგენს უმაღლეს ორგანოს საკითხების გადაწყვეტაში, კანდიდატებიდან არჩევს იმ ქალაქს, სადაც ჩატარდება ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიური თამაშები და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება თავის სხდომაზე. სოკ-ი აწესებს და ანიჭებს ოლიმპიურ ჯილდოებს (საჭიროების შემთხვევაში სპორტსმენს ჩამოართმევს კიდეც ჯილდოს თუ იგი მოპოვებულია უღირსი გზით. გავიხსენოთ სეულის ოლიმპიადაზე მძლეოსან ჯონსონის დისკვალიფიკაცია. რედ.).

● **რამდენი ხნით ადრე გამოაქვს გადაწყვეტილება სოკ-ს ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის შერჩევასთან დაკავშირებით?**

— ექვსი წლით ადრე.

● **რომელი ენები ითვლება სოკ-ისთვის ოფიციალურად?**

— სოკ-ის ოფიციალურ ენებად აღიარებულია ფრანგული და ინგლისური. სესიების დროს უზრუნველყოფილია სინქრონული თარგმანი ესპანურ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

● **რამდენ ხანში ერთხელ იწვევენ სოკ-ის სესიას?**

— ყოველწლიურად, ზაფხულის ან ზამთრის თამაშების წლებში კი ორჯერ.

● **რა ფუნქცია ეკისრება სოკ-ის აღმასკომს?**

— აღმასკომი განაგებს მიმდინარე საქმეებს სოკ-ის სესიებს შორის.

● **როდის შეიქმნა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი?**

— 1951 წლის 23 აპრილს, ხოლო სოკ-მა იგი აღიარა იმავე წლის 7 მაისს.

● **როგორია სტრუქტურული ურთიერთობა სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და სსრ კავშირის სპორტსახკომს შორის?**

— სპორტსახკომი სახელმწიფო ორგანიზაცია, ეოკ-ი კი საზოგადოებრივი, მაგრამ ეოკ-ი მუშაობს სპორტსახკომთან მყარ კავშირში.

● **ვინ შედის სსრ კავშირის ეოკ-ის შემადგენლობაში და როგორია ამ კომიტეტში მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობა?**

— სსრ კავშირის ეოკ-ის შემადგენლობაში შედიან სპორტის სახეობების მიხედვით ყველა საკავშირო სპორტული ფედერაციების (არა მარტო ოლიმპიური სახეობებისა), სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსახკომების წარმომადგენლები აგრეთვე სსრ კავშირიდან სოკ-ის წევრები, გამოჩენილი სპორტსმენები და სპორტული მოღვაწეები. ეოკ-ის წევრებს ირჩევენ ოთხ წელიწადში ერთხელ. ძირითადად ამ ორგანიზაციაში არჩეულნი არიან საკავშირო ცენტრალური სპორტული ორგანიზაციებისა და საზოგადოებების წარმომადგენლები.

● **ვის გამოაქვს გადაწყვეტილება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღიარების თაობაზე?**

— ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სტატუსი აუცილებლად უნდა აღიაროს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და ამის თაობაზე სოკ-ს გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება. ანალოგიური მოთხოვნებით და პრინციპით ხდება საერთაშორისო სპორტული ფედერაციის აღიარება.

## ქვეყნები და ემბლემები















მარცხნიდან (ზევით) — ავსტრალიის, ავსტრიის, ავლანეთის; ქვევით — არგენტინისა და ანტილის კუნძულების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ემბლემები.

ინვალიდები და სპორტი

# თბილისელები გამარჯვებულთა შორის

წლევანდელი წლის დასაწყისში ახალ ზელანდიაში გამართულ ყრუ სპორტსმენთა მე-16 სპორტულ თამაშებში საბჭოთა მოჭიდავეებმა (თავისუფალი სტილი) II საპრიზო ადგილი დაიკავეს. თავისთავად ეს შედეგი ურიგო არ გახლავთ, მაგრამ ნაკრების მწვრთნელები არ იყვნენ კმაყოფილი, ვინაიდან მათი აზრით, გუნდი პოტენციურად უფრო ძლიერია და გამარჯვებას იმსახურებდა. გადაწყდა, რომ მომდევნო თამაშებისთვის გათვალისწინებული იყოს ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც დაუშვეს მზადების პერიოდში.

• • •

ამ დღეებში ზაპოროჟიეში ჩატარდა მორიგი საკავშირო ჩემპიონატი. გამარჯვებულმა მოჭიდავეებმა ნაკრებში გამოსვლის უფლება მოიპოვეს. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: არტურ ალექსანიანმა (ერევანი), იუსუპ ომაროვმა (ორჯონიკიძე), ვიქტორ მუსაევმა (თბილისი), ისკანდერ ალიევმა (ბაქო), სირენ-დორჯო ანდრეიანოვმა (ულან-უდე), ვიტალი ცეკოევმა (ორჯონიკიძე), ვალენტინ კუზნეცოვმა (ტამბოვი), ანდრეი ზახრიაპინმა (ულან-უდე), კონსტანტინ ძუგუტოვმა (ორჯონიკიძე) და იური გოგუაძემ (თბილისი).

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი“ 1:2 (1:2). გოლები: კოლივანოვი („დინამო“), კონდრატიევი, ტრეტიაკი („ჩერნომორეცი“).
გააფრთხილეს „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელი ტრეტიაკი.
დუბლიორები — 2:1.

„პამირი“ — „დნეპრი“ 0:1 (0:1). გოლი: კუდრიცკი.
დუბლიორები — 1:1.

„ჟალგირისი“ — „დინამო“ (კიევი) 1:0 (0:0). გოლი: კვიტკაუსკასი.
დუბლიორები—1:1.

„არარატი“ — „შახტიორი“ 2:0 (0:0). გოლები: დემირჩიანი, მელიქიანი.
დუბლიორები — 3:5.

„ლოკომოტივი“ — „დინამო“ (მინსკი) 0:1 (0:0). გოლი: შიროკი.
გააფრთხილეს „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები კალაიჩევი, გორლუკოვიჩი და ბოდაკი.
დუბლიორები — 1:2.

„ზენიტი“ — „ტორპედო“ 1:1 (1:1). გოლები: ნ. სავიჩევი („ტორპედო“), დანილოვი („ზენიტი“).
დუბლიორები — 2:0.

● **განვლილ** ტურში სულ 16 ბურთი იქნა გატანილი, რომელთაგან 7 მასპინძლებს ეკუთვნის და 9 სტუმრებს.

● **XI ტური** გამოირჩევა იმით, რომ სტუმრებმა მოიგეს 4 მატჩი, ხოლო მასპინძლებმა მხოლოდ 2. საერთოდ კი, წლევანდელი ჩემპიონატის დაწყებიდან მასპინძლებმა გაიმარჯვეს 45 შეხვედრაში, სტუმრებმა მოიგეს 16 მატჩი (ფრედ დამთავრდა 26 თამაში).

● **ჩემპიონატის** ბომბარდირთა რიგებში კვლავინდებურად წინაა მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელი ს. როდიონოვი — 7 ბურთი. ოდესელმა გ. კონდრატიევმა და კიევის დინამოელმა გ. ლიტოვჩენკომ 6-6 ბურთი გაიტანეს.

● **ოდესელ** გ. კონდრატიევს რეალური შესაძლებლობა აქვს გ. ფედოტოვის სახელობის ასიანთა კლუბში მოხვდეს. კლუბის ჩათვლაში მას ახლა 90 ბურთი აქვს გატანილი.

● **საკუთარ** მინდორზე პირველი დამარცხება განიცადა თბილისის „დინამომ“, მეტოქის მინდორზე პირველი გამარჯვება მოიპოვა მინსკის „დინამომ“, ბოლო 9 ტურია დონეცკის „შახტიორს“ არც ერთი გამარჯვება არ ჩაუწერია თავის ანგარიშზე.

● **I ლიგის** საკავშირო გათამაშებაში ლანჩხუთის „გურიამ“ რიგაში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი „დაუგავა“. გოლი 30-ე წუთზე გაიტანა ჟორდანიამ. ამ მატჩში გააფრთხილეს „გურიის“ ფეხბურთელები დოზმოროვი და ოლეფირენკო.

### გათამაშების ცხრილი

#### დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 27 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 11 | 8 | 2 | 1 | 18-9 | 18 |
| „სპარტაკი“ | 11 | 7 | 2 | 2 | 25-8 | 16 |
| „ტორპედო“ | 12 | 6 | 3 | 3 | 14-11 | 15 |
| „დინამო“ კ. | 11 | 5 | 4 | 2 | 14-7 | 14 |
| „დინამო“ მ. | 11 | 6 | 1 | 4 | 18-16 | 13 |
| „დინამო“ მნ. | 11 | 5 | 3 | 3 | 21-15 | 13 |
| „ჟალგირისი“ | 12 | 5 | 3 | 4 | 18-12 | 13 |
| „ლოკომოტ.“ | 11 | 5 | 2 | 4 | 16-12 | 12 |
| „არარატი“ | 10 | 4 | 3 | 3 | 10-17 | 11 |
| „შახტიორი“ | 11 | 4 | 2 | 5 | 11-16 | 10 |
| „მეტალისტი“ | 10 | 4 | 1 | 5 | 15-15 | 9 |
| „ზენიტი“ | 10 | 4 | 0 | 6 | 18-14 | 8 |
| „დინამო“ თბ. | 10 | 3 | 2 | 5 | 14-16 | 8 |
| „როტორი“ | 9 | 1 | 3 | 5 | 3-12 | 5 |
| „ჩერნომორ.“ | 11 | 1 | 2 | 8 | 14-28 | 4 |
| „პამირი“ | 11 | 0 | 3 | 8 | 6-26 | 3 |

## ბათუმელი ფეხბურთელები თურქეთში

**თურქეთის ქალაქ რიზეში ამ ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროს ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირში, „რიზესპორის“ ხელმძღვანელობამ ბათუმის „ნორჩი დინამოელიც“ მოიწვია.**

ჩვენი გუნდის შინ დაბრუნების შემდეგ „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი **ლევან ქავჟარაძე** შეხვდა ბათუმელთა მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **ლერი ვერულიძეს** და სთხოვა მას გაეზიარებინა შთაბეჭდილებები განვლილი ტურნირის შესახებ.

— „ნორჩი დინამოელი“, — თქვა მწვრთნელმა, — ჩვენი ქვეყნის პირველი ბავშვთა საკლუბო გუნდია, რომელიც თურქეთს ეწვია. დიდი ხანია „რიზესპორთან“ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, ამ კლუბის ნორჩი ფეხბურთელები მოწვეული გვყავდა ბათუმის საერთაშორისო ტურნირში. ახლანდელ ასპარეზობაში ოთხი გუნდი მონაწილეობდა: თურქეთის „რიზესპორი“, „ტრაბზონსპორი“ და „გირესუნისპორი“ და ჩვენ. ფაქტიურად ამ ასპარეზობაში გათამაშდა ნახევარფინალი და ფინალი. ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე იყო „ტრაბზონსპორი“. თამაშის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1, დამატებით დროში დინამოელებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს მეტოქის კარში. მეორე ნახევარფინალში „რიზესპორმა“ ანგარიშით 4:3 დაამარცხა „გირესუნისპორი“.

საინტერესო გამოდგა ფინალი. მსაჯის მიკერძოება რომ არა, შედეგი შეიძლება სხვა ყოფილიყო: მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, როცა ანგარიში იყო 1:1, არბიტრმა ჩვენს კარში აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი ბურთი ჩათვალა. საბოლოოდ მეორე ადგილზე გამოვედით. მესამე ადგილი ხვდა „გირესუნისპორს“, რომელმაც მინიმალური ანგარიშით (1:0) დაამარცხა „ტრაბზონსპორი“.

● **კიდევ რას იტყვით რიზეში გამართულ ტურნირზე და საერთოდ თქვენს სტუმრობაზე თურქეთში?**

— საბავშვო ფეხბურთს, როგორც მასპინძლებმა გვითხრეს, იქ ახლა დიდი ყურადღება ექცევა. ამის დასტური იყო ისიც, რომ ტურნირს ესწრებოდნენ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ბევრი სხვა აღიარებული სპეციალისტი, აღარაფერს ვამბობ ყოველ მატჩზე მოსულ მრავალრიცხოვან მაყურებელზე. ტურნირი მთლიანად გადაიღო თურქეთის ტელევიზიამ.

მასპინძლები სტუმართმოყვარულნი იყვნენ ჩვენს მიმართ. ადგილობრივი მოსახლეობაც დიდ ინტერესს იჩენდა, ვიყავით ქალაქ ტრაბზონში, დავათვალიერეთ მისი ღირსშესანიშნაობანი. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა შეხვედრები თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან. თითქმის ყოველი მათგანი, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ლაპარაკობს წინაპართა ენაზე. მათ ბავშვებს საჩუქრად გადავეცით ქართული წიგნები სამახსოვრო წარწერებით და ბურთები.

## მსოფლიო ჩემპიონატი

**გაიმართა** 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი შეხვედრები დასავლეთ აზიის VI შესარჩევ ჯგუფში. აი, ჭათი შედეგები: ინდონეზია — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 0:0, ჰონკონგი — იაპონია 0:0.

ამავე ზონის IV ჯგუფში მალაიზიის ფეხბურთელებმა ორი გამარჯვება მოიპოვეს: ნეპალთან— 2:0 და სინგაპურთან — 1:0.

## „ზენიტი“ — თვითდაფინანსებაზე

**ლენინგრადში** სრულ სამეურნეო ანგარიშზე შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „ზენიტი“. ზენიტელთა დამფუძნებელ კონფერენციაზე კლუბის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ლენინგრადის ვ. ი. ლენინის სახელობის ოპტიკურ-მექანიკური გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე ე. ვერშინსკი.

## მ. პლატინის საწინააღმდეგოდ

საფრანგეთის საფეხბურთო კლუბის „ბორდოს“ პრეზიდენტი, ცნობილი ფრანგი სპეციალისტი კლოდ ბიზი, რომელიც თავის დროზე საფრანგეთის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის კანდიდატიც იყო, ოფიციალურად გამოვიდა საფრანგეთის ნაკრების ახლანდელი ხელმძღვანელის მიშელ პლატინის წინააღმდეგ და მოითხოვა მისი დაუყოვნებელი გათავისუფლება ამ თანამდებობიდან.

— მიშელ პლატინი განუმეორებელი ფეხბურთელი იყო, — განუცხადა კლოდ ბიზმა ჟურნალისტებს, — მაგრამ მწვრთნელის პოსტზე ვერ გაამართლა ჩვენი იმედები. ვფიქრობთ, მიშელმა თვით უნდა შეიგნოს ეს და დათმოს მწვრთნელის ადგილი. თუ იგი თვით არ გააკეთებს ამას, საფრანგეთის ფეხბურთის ხელმძღვანელობამ ახლავე უნდა მიმართოს გადამჭრელ ზომებს. ახლა მარტო მე როდი ვფიქრობ ასე....

მიშელ პლატინი საფრანგეთის ნაკრებს შარშან ნოემბერში ჩაუდგა სათავეში და იმედი ჰქონდა, რომ კრიზისიდან გამოიყვანდა მას, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ფრანგებმა მისი ხელმძღვანელობით 3 მატჩში სულ ერთი ქულა დააგროვეს და, ალბათ, ვერ მოხვდებიან გათამაშების ფინალში.

## ერთ-ერთი გამარჯვებული 19.736 კონკურენტიდან

**მოგეხსენებათ,** როგორ გახშირდა და რაოდენ პოპულარულია ამჟამად სხვადასხვა სახის სპორტული კონკურსები. ისე როგორ იქნება, ამა თუ იმ უმაღლესი რანგის შეჯიბრების წინ საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსები არ გამოცხადდეს. ფეხბურთელთა ევროპის შარშანდელი ჩემპიონატი, ცხადია, გამონაკლისი არ იქნებოდა — მასაც მიეძღვნა მრავალი კონკურსი, რომელთაგან ერთი — ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ მიერ გამოცხადებული — ფრიად პრესტიჟული გახლდათ. ამ კონკურსის მონაწილეებს უნდა გამოეცნოთ: 1. ნახევარფინალისტთა ოთხეული, 2. ევროპის მომავალი ჩემპიონი და რამდენ გოლს გაიტანდა ეს გუნდი, 3. საბჭოთა კავშირის ნაკრების ქვეჯგუფში პირველი თამაშის (სსრკ-ჰოლანდია) შედეგი. რედაქციამ მიიღო 19.736 პროგნოზი. აქედან მხოლოდ სამმა კონკურსანტმა გასცა სწორი პასუხი ამ კითხვებს. ერთი მათგანი აღმოჩნდა ჩვენი თანამემამულე, პარტიის ოქტომბრის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ირაკლი ბერიძე, რომელსაც თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრის წინ საზეიმოდ გადაეცა პრიზი — ფეხბურთის ბურთი საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების წევრთა ავტოგრაფებით.



სურათზე: ირაკლი ბერიძე.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

● **შვეიცარიის** ჩემპიონ ნევშატელის „ქსამაქსს“ მესამე უცხოელი ფეხბურთელი დაემატა. ეს გახლავთ ბრაზილიის „ფლუმინენსეს“ ყოფილი თავდამსხმელი ზე მარია.

● **მონტევიდეოს** „ნასიონალის“ მეკარე ხორხე სერე გადავა კოლუმბიის „ამერიკა კალიში“. სერე უკვე მეექვსე მოთამაშეა, რომელიც „ნასიონალს“ ტოვებს.

● **ურუგვაელი** მწვრთნელი ლუის კუბილა ბოლო დროს პარაგვაის „ოლიმპიაში“ მუშაობს. ახლა, იუგოსლაველი ზაეცის მსგავსად, მასაც მიეცა წინადადება სათავეში ჩაუდგეს საბერძნეთის ნაკრებს. კონტრაქტით კუბილას მილიონ დოლარს სთავაზობენ.

● **ირლანდიის** ნაკრების თავდამსხმელი ტონი ვასკარინო წლეულს შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. ამან დააინტერესა ინგლისის წამყვანი კლუბები, რომლებმაც კასკარინოს გადაბირება სცადეს, მაგრამ ფეხბურთელმა ყველა წინადადება უარყო და სამი წლით გააგრძელა კონტრაქტი „მილუოლთან“.

● **მადრიდის** „ატლეტიკოს“ ყოფილი მწვრთნელი, ინგლისელი მალკოლმ ალისონი მეზობელ პორტუგალიაში გადავიდა. ახლა იგი იქაურ „ფარენსეს“ ჩაუდგა სათავეში.

● **დანიის** ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ფრენკ არნესენმა სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ კომენტატორობა დაიწყო.



დანიის წლევანდელი პირველობის დაწყების შემდეგ კი „ოდენსეს“ მწვრთნელის თანაშემწედ დაინიშნა.

● **სამხრეთ** ამერიკის სპორტულ პრესაში ხშირად შეხვდებით ასეთ გამოთქმას: „თეთრი პელე“, ან კიდევ „პატარა პელე“... საკმარისია ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდეს, რომ მას უმალ ლეგენდარულ ბრაზილიელს ადარებენ. აი უკანასკნელი მაგალითიც: ბუენოს-აირესის „არგენტინოს ხუნიორსმა“ შეიძინა ბოლივიელი რამირო კასტილიო, რომელიც პრესამ „პელეს ძმად“ მონათლა.

● **პორტუგალიის** „პორტო“ წელს შედარებით სუსტად თამაშობს. იგი უკვე დიდი ხანია გამოეთიშა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებას, პორტუგალიის თასს, ქვეყნის პირველობაშიც საკმაოდ ჩამორჩება ლიდერ „ბენფიკას“. მიმომხილველები სხვა მიზეზებთან ერთად ასახელებენ გუნდში დისციპლინის დაქვეითებას. ამას წინათ ძირითადი შემადგენლობიდან გამოიყვანეს ბომბარდირი გომეში, რომელიც ნასვამი მოვიდა კალენდარულ მატჩზე. ახლა იგივე მიზეზით ადგილი დაკარგა მეკარეზე ბეტომ.

● **ვენესუელის** კლუბი „დეპორტივო ტაჩირა“ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის მეორე წრეში გავიდა. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ იმავე ჯგუფში თამაშობდა ბრაზილიის „ინტერნასიონალი“. გუნდის წარმატებას იტალიური „გუერინ სპორტივო“ უკავშირებს არგენტინელი მცველის ხუან მურიელის და ურუგვაელი ფორვარდის ვაშინგტონ ვილარის კარგ თამაშს.

● **სალვადორის** ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა იუგოსლაველი სპეციალისტი მიროსლავ მუკაზინოვიჩი.

● **არგენტინის** ნაკრების სათადარიგო მეკარე ლუის ისლასი ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტედან“ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა, მაგრამ სეზონის ბოლომდე „მურსიაში“ ითამაშებს. ამის მიზეზია უცხოელთა ლიმიტი, რომელიც მადრიდელებს ამოწურული აქვთ.

● **ევროპის** ეროვნული ჩემპიონატების ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა რუმინეთის ნაკრებისა და ბუქარესტის „დინამოს“ თავდამსხმელი დორინ მატეუტი — 29 გოლი. მის უახლოეს მდევრებს, რომელთა შორისაცაა ყოფილი ლიდერი ბრაზილიელი მორაისი („ატლეტიკო“ მადრიდი) 24-24 გოლი აქვთ გატანილი.

(საქ. ინფ.).

## მკითხველი — გაზეთი

**ზესტაფონის № 25 საგზაო საექსპლოატაციო უბნის ახალგაზრდობა მოგმართავთ თხოვნით, თქვენი გაზეთის საშუალებით გვიამბოთ გოლფის შესახებ. წინასწარ გიხდით მადლობას.**
**(რედაქციაში შემოსული წერილიდან)**

**არსებობს** მოსაზრება იმის შესახებ, რომ გოლფი ჯერ კიდევ ქრისტიანულ ერამდე წარმოიშვა. ზოგიერთი მკვლევარი, მიუთითებს რა მწყემსების მოკაუჭებულ კომბლებზე, ამ მოვლენას ასე ხსნიან: მწყემსები კომბლებით კენჭებს ურტყამდნენ, რათა გარკვეულ მანძილზე გადაეგდოთ ისინი.

შესაძლოა ასეც იყო.

ოფიციალური ცნობებით, გოლფის სამშობლოდ შუა საუკუნეების დანია არის აღიარებული, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შოტლანდიელებსა და ჰოლანდიელებს შორის დღესაც მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, თუ სად აღმოცენდა პირველად სპორტის ეს უცნაური სახეობა.

საყოველთაო აღიარება გოლფმა დაახლოებით XV საუკუნეში მოიპოვა. ის იმდენად გავრცელდა, რომ მეფე ჯეიმს II იძულებული შეიქნა გამოეცა კანონი, რომლითაც შეზღუდავდა გოლფის მოთამაშეთა შესაძლებლობებს და განსაზღვრავდა მათ რიცხვს. მეფე თვლიდა, რომ თავისუფალი დრო უფრო რეალური, კეთილი მიზნებისათვის უნდა გამოეყენებინათ, თუნდაც ეს მშვილდის მოზიდვა ყოფილიყო.

გოლფი — ეს არის სპორტული თამაშობა ბურთითა და ყვანჯებით. სათამაშო მოედნად გამოიყენება სპეციალურად გამოყოფილი მინდორი 400X500 მ. ფართობით, რომელზედაც აღნიშნულია 9 ან 18 ბილიკი — ტრასა (სიგრძით 150-170 მ. სიგანით 30-40 მ).

მოთამაშის მიზანია ამ ბილიკებით ბურთი მოახვედროს სპეციალურ ფოსოში. მოგებულად ჩაითვლება ის მოთამაშე (ნაკრები), რომელიც ნაკლები დარტყმის შედეგად მიაღწევს მიზანს.

მოთამაშეთა ყვანჯები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიდიდით, სისქითა და ზედა ნაწილის ფორმით (რაც დამოკიდებულია რელიეფზე და იმ მანძილზე, რომელზედაც უნდა გაიგზავნოს ბურთი). ბურთი კი თავდაპირველად ბუმბულისაგან მზადდებოდა, მისი დღევანდელი სახე ასეთია: სხმული ვულკანიზირებული რეზინისგან დამზადებული ბურთი, რომლის წონაა 42,5 გრ.

როგორც ინგლისელები აღნიშნავენ, გოლფი მოთამაშისგან უკიდურეს დისციპლინას, შეუპოვრობასა და ამავე დროს რწმენას მოითხოვს, თუმცაღა ამ თვისებებს მოითხოვს სპორტის თითქმის ყველა სახეობა.

1900-1904 წლებში პარიზისა და სენტ-ლუისის ოლიმპიური თამაშობების პროგრამაში, სპორტის სხვა სახეობებთან ერთად, წარმოდგენილი იყო გოლფიც. გაურკვეველი მიზეზების გამო, გოლფი მომდევნო ოლიმპიური თამაშობების პროგრამაში აღარ შესულა.

გოლფი სწრაფად გავრცელდა მსოფლიოში და დღეს მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი აშშ-ში, იგი სპორტის ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა.

**ნინო ორჯონიკიძე,**
**ქ. თბილისის 51-ე სკოლის მოსწავლე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი 1989

### საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე

# დებიუტანტებს უჭირთ

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი.

საქართველო — უნგრეთი 2:7 (1:2, 0:2, 1:2, 0:1).

საქართველო: კერესელიძე, გიორგაძე, ბალათურია, ბითაძე, ახათიანი, მაჭავარიანი, რამიშვილი; ხარებოვი, ტატიშვილი, კუტივაძე, გონაძე, მარგიევი, ჩოლარია.

უნგრეთი: ნემეში, ბუიკა, პეტიოვარი, გელეი, ლასლო ტოტი, ზანტლეიტნერი, იმრე ტოტი; პეტერი კესტხეი, მოზი, გარდი, დიონდიოში.

ნათქვამია, ისე არა წვიმს, როგორც ქუხსო. ეს სიტყვები ზედგამოჭრილია უნგრეთის ნაკრებისთვის, იმ ნაკრებისთვის, რომელმაც ექვსჯერ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა, იყო მსოფლიო ჩემპიონი და თასის მფლობელი, ათგზის დაეუფლა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლებს.

დიახ, უნგრეთის ნაკრები მსოფლიოში ყველაზე ტიტულოვანი გუნდია. მაგრამ ეს ყველაფერი 1979 წლამდე იყო, შემდეგ კი უნგრელებმა პოზიციები დათმეს. თუმცა, მათი ნაკრები ისე არ დაჩაჩანაკებულა, რომ სხვათაგან იოლად საჯიჯგნი გამხდარიყო. იგი კვლავაც უძლიერესთა რიგებშია და ნებისმიერი მეტოქისთვის საშიშ ძალას წარმოადგენს. და მაინც, ახლა იგი მეტოქეს თავისი მქუხარე ტიტულებით უფრო აფრთხობს, ვიდრე სიძლიერით.

წინათ საქართველოს ნაკრები უნგრელ წყალბურთელებს მრავალჯერ შეხვედრია და მედგარი ბრძოლაც გაუმართავს, ახლა კი...

ძნელი სათქმელია, სანახევროდ დებიუტანტებისგან დაკომპლექტებული ჩვენი გუნდი უნგრელთა ტიტულებმა შეაკრთო და ხელ-ფეხი შეუბორკა, თუ თავს ზემოთ ძალა აღარ იყო, ან იქნებ, უბრალოდ, მასპინძლებს ბედი არ სწყალობდათ.....

ასე იყო თუ ისე, საქართველოს ნაკრებმა ეს შეხვედრა ძალზე უფერულად ჩაატარა. მან მთელი მატჩი, როგორც იტყვიან, უნგრელთა კარის ძელების ლეწვაში ჩაატარა. კარი კი თითქოს მოჯადოებული იყო, ბურთი შიგ ჯიუტად არ ვარდებოდა. ისიც ბედის დაცინვა იყო, რომ ჩვენმა ბიჭებმა ათი რიცხობრივი უპირატესობიდან გამოიყენეს მხოლოდ... ერთი. მასპინძლებმა დაკარგეს ბურთის გატანის იმდენი შესაძლებლობა, რამდენიც ბარე ორსამ მატჩს ეყოფოდა. მეტოქის კარის დალაშქვრა მხოლოდ ბალათურიამ და რამიშვილმა შეძლეს. უნგრელთაგან კი ბურთების გატანა გუნდის წევრთა ლამის ნახევარმა მოახერხა. ესენი არიან: პეტიოვარი (2) გელეი, კესტხეი, იმრე ტოტი, ლასლო ტოტი, გარდი.

ამ დამარცხების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მედლებისთვის ბრძოლის შანსი დაკარგა.

ტურნირში დაუმარცხებლად იბრძვის სსრ კავშირის პირველი ნაკრები, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

გუშინ საქართველოს ნაკრების მეტოქე იყო საბერძნეთის გუნდი. ამ მატჩში მასპინძელთა ნაკრების შემადგენლობა იგივე გამოდგა, რაც უნგრელებთან შეხვედრაში. ბერძენთა ღირსებას იცავდნენ: პეტრასი, კალფასი, სამრძიდისი, სელეტოპულიესი, არონისი, მავროტოსი, პაპანასტასიო, ლუდისი, პროტოპაპასი, მუსტაკასისი.

მასპინძლებმა კვლავ უფერულად ითამაშეს და დამარცხდნენ ანგარიშით 5:11 (3:1, 1:3, 1:3, 0:4). არადა, შეხვედრას მესამე პერიოდის ბოლომდე ისეთი პირი უჩანდა, რომ საქართველოს ნაკრები ასეთი დიდი ანგარიშით არ უნდა დამარცხებულიყო. პირიქით, ანგარიში სწორედ მან გახსნა და პირველი პერიოდიც მოიგო, მესამე პერიოდში ანგარიში ერთხანს თანაბარი (5:5) იყო, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენმა წყალბურთელებმა ვერა და ვერ გაიტანეს ბურთი.



საქართველოს ნაკრების წევრებმა რიცხობრივი უპირატესობა მხოლოდ სანახევროდ გამოიყენეს. ამ მხრივ ბერძნები მართლაც მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. მათ რვა ასეთი შემთხვევიდან მიზანს შვიდჯერ მიაღწიეს — ორჯერ პენალტის წყალობით. თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა სამარძიდისმა, რომელმაც 4 ბურთი გაიტანა. მის გარდა მასპინძელთა კარი დალაშქრეს სელეტოპულიესმა (3), არონისმა, პროტოპაპასმა, მავროტოსმა და მუსტაკასისმა. ჩვენი წყალბურთელებიდან მიზანს მიაღწიეს რამიშვილმა (3), ბითაძემ და კუტივაძემ.

ნათელია, რომ საქართველოს ნაკრების დებიუტანტებს, რომლებიც გუნდის ნახევარს შეადგენენ, უმაღლეს დონეზე ბრძოლა საკმაოდ უჭირთ.

გუშინვე აშშ-ის ნაკრებმა სძლია ბულგარელებს 15:6, გფრ-ის გუნდმა — უნგრელებს 5:6, სსრ კავშირის პირველი და მეორე გუნდების შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 9:9. ფინალისტის გამოსავლენად დაინიშნა ორი 3-3 წუთიანი პერიოდი, რომელმაც წარმატება მეორე ნაკრებს მოუტანა 11:10.

დღეს პირველობისთვის ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირის მეორე ნაკრები და გფრ-ის გუნდი.

**ავთანდილ ბურახაშვილი.**

## ევროპის საკალათბურთო მოედნებზე

### იტალია

**კალათბურთში** იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩებიდან ყურადღების ცენტრში იყო შარშანდელი ფინალისტების „სკავოლინის“ და „ფილიპსის“ შეხვედრა. პირველი მატჩი გაიმართა პესკარაში. ეს შეხვედრა როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავს, მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 91:78 დამთავრდა. მაგრამ „ფილიპსმა“ მატჩის შედეგი გააპროტესტა, რადგან თავაშვებულმა ტიფოზებმა ტრავმა მიაყენეს დინო მენეგინს, რომელიც საავადმყოფოში წაიყვანეს. იტალიის კალათბურთის ფედერაციამ სამართლიანად ცნო მილანელთა პროტესტი და „სკავოლინის“ დამარცხება ჩაუთვალა. განმეორებითი მატჩი მილანში უაღრესად დაძაბულ და შეუპოვარ ხასიათს ატარებდა და დამთავრდა „ფილიპსის“ გამარჯვებით — 85:82. უკომპრომისოდ მიმდინარეობდა მეორე ნახევარფინალური წყვილის „ენიჰემი“ — „კნორრო“ პაექრობა. „ენიჰემმა“ ძალზე ძნელი გამარჯვება მოიპოვა საკუთარ მოედანზე — 79:77. ბოლონიაში კი უპირატესობა უკვე „კნორროს“ მხარეს იყო და მან გაიმარჯვა კიდეც — 91:78. გადამწყვეტ მესამე მატჩში ლივორნოში „ენიჰემმა“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 108:82.

### ესპანეთი

„ბარსელონას“ უპირატესობა „კაი სარაგოსასთან“ შეხვედრაში აშკარა იყო. ამას მეტყველებს სერიის ანგარიში — 3:0 (95:73, 100:93; 105:78). უფრო საინტერესოდ წარიმართა მადრიდის „რეალის“ და „ჰუვენტუდ ბადალონას“ პაექრობა. განსაკუთრებით შეუპოვარ ხასიათს ატარებდა პირველი მატჩი მადრიდში, როდესაც მასპინძლებმა უკანასკნელ წამებზე მოიპოვეს ძნელი გამარჯვება. მეორე შეხვედრა მადრიდში „რეალმა“ საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო — 93:70. მესამე მატჩში „ჰუვენტუდ ბადალონამ“ საკუთარ მოედანზე შესძლო რევანშის აღება — 90:87. ბოლო შეხვედრაში კი „რეალმა“ კვლავ ალმაცლობით ითამაშა და გაიმარჯვა 87:76.

**მერაბ კალანდაძე.**

## თასები და მათი მფლობელები

**დამთავრდა კალათბურთში პოპულარული ევროპული თასების, ჩემპიონთა თასის, თასის მფლობელთა თასის და რ. კორაჩის თასის მორიგი გათამაშება. ამ პრესტიჟულ ტურნირებში გამარჯვებული გუნდებია: ჩემპიონთა თასზე სპლიტის „იუგოპლასტიკა“, თასის მფლობელთა თასზე მადრიდის „რეალი“, რ. კორაჩის თასზე ბელგრადის „პარტიზანი“.**

**შეიძლება** ითქვას, რომ წლევანდელ გათამაშებაში ტრიუმფალურ წარმატებას მიაღწიეს იუგოსლავიის კლუბებმა. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ამ ქვეყნის კლუბებმა უარი თქვეს ამერიკელ ვარსკვლავებზე, თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ თასის მფლობელთა თასზე მადრიდის „რეალის“ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის იუგოსლაველ დრაჟენ პეტროვიჩს, ხოლო პირველად ისტორიაში ქალთა შორის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა ლიუბლიანას გუნდი „ედინსტვო“, ვფიქრობთ, სურათი სავსებით ნათელი გახდება.

ჩემპიონთა თასის ფინალური თამაშები მოულოდნელობით აღსავსე აღმოჩნდა — ფავორიტებად ყველა „ბარსელონას“ და „მაკაბის“ ასახელებდა, მაგრამ „იუგოპლასტიკამ“ ჯერ „ბარსელონას“ მოუგო, ხოლო შემდეგ ფინალში „მაკაბი“ დაამარცხა და პირველად დაეუფლა ჩემპიონთა თასს. სპლიტის „იუგოპლასტიკას“ ისტორიაში ყურადღებას იპყრობს ორი პერიოდი, როდესაც გუნდმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია — 70-იან წლებში და 80-იანის მიწურულს.

„იუგოპლასტიკას“ ახალი წარმატებები იწყება 80-იანი წლების მეორე ნახევარში. ჯერ იყო და მან იუგოსლავიის თასი მოიგო, შემდეგ ზედიზედ ორჯერ 1988 და 1989 წლებში გახდა ქვეყნის ჩემპიონი. გუნდის ეს წარმატებები დაკავშირებულია მწვრთნელის ბოჟიდარ მალიაკოვიჩის სახელთან. აქ წამყვანი კალათბურთელები არიან: ტონი კუკოჩი, დინო რაჯა, დუშან ივანოვიჩი. მათ გვერდით თამაშობენ ივან სობინი, ველიმირ პერაზოვიჩი, ზორან სრეტენოვიჩი.

სამოყვარულო კალათბურთში ძნელია „რეალზე“ უფრო ტიტულირებული გუნდი მოიძებნოს. ესპანეთის ოცდაოთხგზის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის შვიდგზის მფლობელი, საკონტინენტთაშორისო თასის ოთხგზის მფლობელი, თასის მფლობელთა თასის და კორაჩის თასის მფლობელი. „რეალს“ ახლა ევროპაში ერთ-ერთი ძლიერი უკანა ხაზი ჰყავს — დრაჟენ პეტროვიჩი და ხოსე ბირუკოვი. ფერნანდო მარტინის პროფესიონალებიდან დაბრუნების შემდეგ „რეალმა“ ცენტრის პრობლემაც მოაგვარა. „რეალის“ გამარჯვება თასის მფლობელთა თასზე სავსებით კანონზომიერი იყო.

რ. კორაჩის თასის გათამაშებაში წარმატებას მიაღწია ბელგრადის „პარტიზანმა“ საერთაშორისო სარბიელზე. მან ორჯერ ზედიზედ მოიპოვა რ. კორაჩის თასი. 1978 წელს ზაგრებში „პარტიზანმა“ ფინალურ მატჩში დაამარცხა თანამემამულე სარაევოს „ბოსნა“ — 117:110. როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ აღნიშნავდა, ჩინებულად ითამაშეს „პარტიზანის“ ლიდერებმა დრაგან კიჩანოვიჩმა (45 ქულა) და დრაჟენ დალიპაგიჩმა (40). მომდევნო წელს „პარტიზანმა“ ფინალურ მატჩში ბელგრადში სძლია „სებასტიან არიგონას“ — 108:98. ამ ხანებში ბელგრადის „პარტიზანის“ წარმატებებს სავსებით სამართლიანად უკავშირებენ სახელგანთქმულ ტანდემს — დრაგან კიჩანოვიჩს და დრაჟენ დალიპაგიჩს. პირველი „პარტიზანში“ „ბორაცის“ კლუბიდან გადმოვიდა, ხოლო დალიპაგიჩის აღმოჩენა ცნობილ მწვრთნელს რანკო ჟერავიცას ეკუთვნის. ამ ტანდემის წასვლის შემდეგ „პარტიზანმა“ მკვეთრად დასთმო პოზიციები და რაიმე შესამჩნევი წარმატებისთვის დიდხანს აღარ მიუღწევია. ახალი დიდი გამარჯვება მოვიდა მხოლოდ 1987 წელს, როდესაც „პარტიზანმა“ სუპერფინალში ყველასათვის მოულოდნელად დაამარცხა ზაგრების „ციბონა“ დრაჟენ პეტროვიჩის მეთაურობით და მეოთხედ დაეუფლა იუგოსლავიის ჩემპიონის ტიტულს. წლეულს „პარტიზანმა“ მოიპოვა იუგოსლავიის თასი. წამყვანი კალათბურთელები არიან გამთამაშებელი ალექსანდრე ჯორჯევიჩი, თავდამსხმელი ჟარკო პასპალი და ცენტრი ვლადო დივაჩი.

**მერაბ კალანდაძე.**

**ნიუ-იორკი.** „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ თავდამსხმელი ირვინ ჯონსი აღიარებულია პროფესიული კალათბურთის ლიგის (ნბა) ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ. ეს გაირკვა ჟურნალისტთა გამოკითხვის შემდეგ, რომელშიც პრესის 85 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ჯონსონი 43-ჯერ იქნა დასახელებული პირველ ადგილზე, რისთვისაც მან 664,5 ქულა მიიღო. მეორე ადგილი ხვდა „ჩიკაგო ბულსის“ თავდამსხმელს მაიკლ ჯორდანს — 598,8 ქულა (პირველ ადგილზე დაასახელეს 28-ჯერ), მესამეზეა — „იუტა ჯაზის“ მოთამაშე კარლ მალონე — 362 ქულა.

სხვათა შორის, 1987 წლის ანალოგიურ ანკეტაშიც ჯონსონმა გაიმარჯვა. ეს კალათბურთელი „ლეიკერსში“ 1979 წელს მოვიდა და მას შემდეგ იცავს კლუბის ღირსებას. სპეციალისტების აზრით მიმდინარე სეზონი ჯონსონისთვის ყველაზე იღბლიანი იყო. მან პროფესიული კალათბურთის რამდენიმე ჯილდო დაიმსახურა, როგორც სამქულიანი ტყორცნების საუკეთესო შემსრულებელმა, როგორც ზუსტი გადაცემების ოსტატმა და ფარქვეშ საუკეთესო მებრძოლმა. ჯონსონი, ამავე დროს, ჯარიმების უბადლო შემსრულებელია (90 პროცენტი) და გამოირჩევა სნაიპერული სროლებით (50 პროცენტზე მეტი). მისი დახმარებით „ლეიკერსმა“ ბოლო ათწლეულში ხუთჯერ მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონის ტიტული (მათ შორის 1987 და 1988 წლებში).



ამჟამად „ლეიკერსი“ დასავლეთის კონფერენციის (ჯგუფის) ფინალში იბრძვის. აქ მისი მეტოქეა „ფენიქს სანსი“. ჯერჯერობით ანგარიში გახლავთ 1:1.

**ჰელსინკი.** კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ევროპის ჩემპიონატში (დაიწყება 20 ივნისს ზაგრებში) პირველ ხუთ ადგილზე გასული კოლექტივი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში (არგენტინა) მონაწილეობის უფლებას ავტომატურად მიიღებს.

**დორტმუნდი.** ევროპის ჩემპიონატის წინ აქ საინტერესო საერთაშორისო ტურნირი ტარდება. საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებმა დამატებით დროში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი 103:95 (ძირითადი დრო — 92:92). ამავე ჯგუფში იუგოსლაველებმა იტალიელებს აჯობეს — 74:61.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია საბერძნეთის გამარჯვება საფრანგეთზე 83:77 და გფრ-ის კალათბურთელთა — ევროპაში მოთამაშე ამერიკელთაგან შემდგარ გუნდზე — 114:94.

## „სპორტპროგნოზი“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 21-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 20-21 მაისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.107.617 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგება 10.000 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (11) — 10.000 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (298)— 1.664 მანეთი.

საქართველოში: 13—0, 12—0, 11—30.

21-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 10 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით.

**რედაქტორი
თ. ბაჩიჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10375